ხელშეკრულება

ინფორმაციის მიწოდების/გაცვლის შესახებ

ქ. თბილისი 21 ივნისი 2018 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ზაზა სოფრომაძის** სახით, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში - ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის - **ალექსანდრე ტურძილაძის** სახით და სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის - **თენგიზ აბაზაძის** სახით (შემდგომში ერთობლივად - მხარეები, ან ცალ-ცალკე - მხარე), ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილების, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილების, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის „დ“, „ე“, „ს[1]“ ქვეპუნქტების და 3[1] მუხლების; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების; და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის N107 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის „ა-გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მხარეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის, მხარეების მიერ ადმინისტრირებად ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში ან სხვა მოქმედ ელექტრონულ მონაცემთა ბაზ(ებ)ში დაცული ინფორმაციის მიმოცვლა (დაშვება/გაცვლა/მიწოდება), მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით.

მუხლი 2. ინფორმაციის მიწოდების მიზანი

2.1. ინფორმაციის დამუშავების მიზანს წარმოადგენს მხარეებისთვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზება, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი, ადმინისტრირება და ადმინისტრირების ეფექტურობის გაზრდა

მუხლი 3. ინფორმაციის მიმოცვლის წესი

3.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნისათვის, მხარეების მიერ მონაცემების მიმოცვლა (დაშვება/გაცვლა/მიწოდება), ხორციელდება შემდეგი სახით:
3.1.1. ინფორმაციაზე წვდომისათვის შესაბამისი დაშვების უზრუნველსაყოფად, მხარეები უზრუნველყოფენ მონაცემებთან წვდომას მათი დამატების/წაშლის/რედაქტირების შესაძლებლობის გარეშე;
3.1.2. იქ სადაც ვერ ხერხდება ინფორმაციაზე 3.1.1 პუნქტით განსაზღვრული წვდომის განხორციელება, მხარეების მიერ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება ელექტრონულ ფორმატში ერთჯერადად, ან შეთანხმებული პერიოდულობით, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 4. ინფორმაციის მიმოცვლის უზრუნველყოფა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონული მონაცემები განთავსებულია სამინისტროს სერვერულ ინფრასტრუქტურაში.
4.2. სამინისტროს, ცენტრსა და სააგენტოს შორის ინფორმაციის მიმოსაცვლელად გამოიყენება სამინისტროს დახურული კერძო ქსელის (VPN), რომელიც აიგება ინტერნეტ სერვის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების ბაზაზე. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:
4.2.1. მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
4.2.2. შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;
4.2.3. ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.
4.3. ინფორმაციის დამუშავება მხარეების მიერ ხორციელდება სამინისტროს სერვერულ რესურსებზე დამყარებული პირდაპირი კავშირის მეშვეობით.

მუხლი 5. ინფორმაციის მიმოცვლის აღრიცხვა

5.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მოახდინონ გამოყენებული სერვისების და შესაბამისი მომხმარებლების ქმედებების ლოგირება (ქმედებების ისტორია), რაიმე საეჭვო ქმედების დროს, აცნობონ ერთმანეთს დაუყოვნებლივ და მიიღონ შესაბამისი ზომები.
5.2. მხარეები ვალდებულნი არიან ქმედებების ისტორია შეინახონ არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლებამოვალეობები

6.1. მხარეები ვალდებულნი არიან
6.1.1. განახორციელონ მათ მიერ ადმინისტრირებად ელექტონულ მონაცემთა ბაზებზე ურთიერთდაშვება, ინფორმაციის (მონაცემების) შეუფერხებელი მიწოდება/გაცვლა და ინფორმაციაზე წვდომის მონიტორინგი/ზედამხედველობა ურთიერთშეთანხმებული ფორმატით;
6.1.2. მათ მიერ ადმინისტრირებად ელექტრონულ მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის (მონაცემების) გამოთხოვა/დათვალიერება უზრუნველყონ მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის მისაღწევად და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამის მხარეს;
6.1.3. არ დაუშვან მიღებულ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) მესამე პირთა დაშვება (წვდომა), ან მესამე პირებისათვის გადაცემის მიზნით, ინფორმაციის (მონაცემების) ნებისმიერ სახით დამუშავება ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (კოპირება, შენახვა და ა.შ.), გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ.

6.2. ამ მუხლის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, სამინისტრო დამატებით ვალდებულია:

6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაცემების მიმოცვლა განახორციელოს მის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის საშუალებით;
6.2.2. ინფრასტრუქტურაში წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე აცნობოს სააგენტოს და ცენტრს შეფერხებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე;
6.2.3. უზრუნველყოს ინფორმაციის უსაფრთხოება.

6.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან:
6.3.1. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, შეუფერხებლად მიიღონ მოთხოვნილი ინფორმაცია (მონაცემები);
6.3.2. შეაჩერონ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) წვდომა/მიწოდება, თუ ეს განპირობებულია ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, აგრეთვე ისეთი გარემოების არსებობას, რაც უკავშირდება კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პროცესში წამოჭრილ/არსებულ საკითხებს;
6.3.3. მოითხოვონ ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია.

მუხლი 7. მხარეთა კომუნიკაციის წესი

7.1. მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ამ მუხლში მითითებული ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით;
7.2. ამ ხელშეკრულების წესისა და პირობების შესაბამისად, ინფორმაციაზე (მონაცემებზე) წვდომა ექნებათ მხოლოდ მხარეთა უფლებამოსილ პირ(ებ)ს.
7.3 ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან:
7.3.1. სამინისტროს მხრიდან - ანა გორგიშელი, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
7.3.2. ცენტრის მხრიდან - სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი ვლადიმერ გეთია, სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი მაია კერესელიძე, შტატგარეშე მომუშავე ლევან კანდელაკი, მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი დავით ზორიკოვი;
7.3.3. სააგენტოს მხრიდან - საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი, მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი; ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დიმიტრი ჩხეიძე; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველოს უფროსი, მაგდანა გურაბანიძე და ამავე დეპარტამნეტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს უფროსი, თამარ კავთელაძე.
7.4. ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული პირების არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფოს ფურცელი და ა.შ). შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინრებულ ფუნქციებს ასრულებენ მათი მოვალეობის შემსრულებლები, ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პირები.
7.5. ხელშეკრულების 7.3. პუნქტში მითითებული პირები, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილ საკონტაქტო პირთა მონაცემებს (სახელი, გვარი, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა) და ინფორმაციას, წინამდებარე პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ან/და ცვლილების შესახებ.
7.6. ხელშეკრულების 7.3. პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა ან/და მათი თანამდებობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს ცვლილების ინიციატორი მხარე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მხარეები პასუხს [illegible] ანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.
9.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, შესაძლებლობისთანავე, დაუყონებლივ, აცნობებს ხელშეკრულების სხვა მხარეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 10. კონფიდენციალურობა

10.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
11.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

12.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის გაგზავნის გზით.
12.2. მხარეები თანხმდებიან, რომ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას ყოველი მხარისათვის.

მუხლი 13. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) გვერდზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.
13.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები

14.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი: 211333957 .
14.2. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - მის.: თბილისი, ასათიანის ქ. №9, ს/კოდი: 211324351.
14.3. სსიპ - „სოციალური დაცვის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი: 202178927.

მუხლი 15. ხელმომწერი პირები

„სამინისტრო“	„ცენტრი“	„სააგენტო“
საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
ზაზა სოფრომაძე მინისტრის მოადგილე	ალექსანდრე ტურძილაძე გენერალური დირექტორის მოადგილე	თენგიზ აბაზაძე დირექტორის მოადგილე